

„ირლანდიური ნიშნობა“

ფარსი ერთმოქმედებად

ავტორი ვოლტერ ვოთსი

მთარგმნელი - სოფიკო სხირტლაძე

მოცემული ერთმოქმედებიანი პიესა დაწერილია ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით.

მოქმედი გმირები

მისტერ ბალფინჩი

მისტერ მაკარტი

კაპიტანი ფოქსლავი

ტიმ რეფერტი

ჯულია ბალფინჩი

ნორა

[ოთახი მისტერ ბალფინჩის სახლში, ლამაზად მოწყობილი]

[შირმა, კარადა, ფანჯარა, საუზმით გაწყობილი მაგიდა]

[ჯულია და ნორა საუბრობენ]

ჯულია: (მაგიდასთანაა მიმჯდარი) იმედი, იმედი აღარ ჩანს, ნორა.

ნორა: ოჰ, მემ, ასე ნუ ამბობთ, თქვენ ხომ ჯერ კიდევ არ გათხოვილხართ.

ჯულია: მაგრამ მალე გავთხოვდები. ეს დღე ყოველ წუთს ახლოვდება...

ნორა: ხოდა ჩაშალეთ - მოიკრიბეთ მხნეობა - უთხარით, რომ ვერ შეიყვარებთ - არ შეიყვარებთ! - რომ თქვენი გული კაპიტანს ეკუთვნის.

ჯულია: მისტერის უარის თქმა რომ გავბედო, მამა მაშინვე უარმყოფს.

ნორა: ზედმეტად უყვარხართ, რომ ასე მოგექცეთ, მემ, ამაში დარწმუნებული ვარ. რა სამწუხაროა, რომ კაპიტანი ღარიბია, მიუხედავად ამისა, მაინც ყოველთვის მხნედ და იმედიანადაა. დამიჯერეთ, დრო ჯერ კიდევ გაქვთ.

ჯულია: ეჰ, საბრალო ფოქსლავი. ყველა ჩვენი იმედი და ხალისი სამუდამოდ გაქრა...

ნორა: (თავისთვის) სასიყვარულო დრამები... (ჯულიას) დამშვიდდით. ღმერთო ჩემო, ეს ტიმია, მის ხმას ათასში გამოვარჩევ. (მირბის ფანჯარასთან) დიახ, ისაა, თანაც ვისთან ერთად, ეს ხომ კაპიტანია. მამათქვენიც აქაა, უმჯობესია ვიჩქაროთ და შემოვუშვათ.

ჯულია: ნამდვილად. მათთან გაფრინდი (ნორა გადის) ასეთი წუთები მართლაც რომ სანუკვარია. მისი სიახლოვე ჩემს გულს აცოცხლებს. ვგრძნობ, რომ მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი გაბედნიერება, ძვირფასო ფოქსლავ!

[შემოდის კაპიტანი ფოქსლავი]

ფოქსლავი: ძვირფასო ჯულია, რა ბედნიერებაა კვლავ თქვენი ხილვა. მითხარით, რა ისმის ჩემი მტრისგან?

ჯულია: ყველაზე უარესი, ძვირფასო ფოქსლავ. ამ დილას მამაჩემისგან წერილი მივიღე, რომელშიც იტყობინება, რომ ის უკვე გზაშია და ჩვენთან მოდის, რათა ცოლად შემირთოს.

ფოქსლავი: ხოდა წუთის დაკარგვაც არ შეიძლება, ძვირფასო ჯულია. ერთი სტრატეგია მაქვს, რომელიც, თუ წარმატებულად ჩაივლის, შესაძლოა გადავრჩეთ.

ჯულია: სტრატეგია?

ფოქსლავი: ზუსტად, ჩემო სიყვარულო. სტრატეგია სიყვარულსა და ომში თანაბრად მნიშვნელოვანია. როგორც მითხარით, არც მამათქვენს და არც თქვენ საქმრო არ გინახავთ.

ჯულია: დიახ, ასეა. ჩვენი მამები ბავშვობაში ერთად სწავლობდნენ, მათი მეგობრობა დროსთან ერთად მტკიცდებოდა. არა მხოლოდ ერთდროულად დაქორწინდნენ, შვილებიც ერთდროულად შეეძინათ, ერთს ვაჟი, მეორეს კი ქალი. სწორედ მაშინ შეთანხმდნენ, რომ როდესაც ამის დრო მოვიდოდა, შვილებს ერთმანეთზე დააქორწინებდნენ. ეს დროც დადგა და ახლა მისტერ მაკარტი ირლანდიიდან მოემგზავრება საცოლის წასაყვანად.

ფოქსლავი: უარის თქმა არ შეგიძლია?

ჯულია: თუ შეთანხმება არ შედგება, მამა ათას გირვანქას დაკარგავს.

ფოქსლავი: ჩვენი მიზანია ყველაფერი გეგმის მიხედვით მოხდეს. ამაზე რას ფიქრობ, მისტერ მაკარტი რომ ჩემი ირლანდიელი მსახურით - ტიმ რაფერტით ჩავანაცვლოთ?

ჯულია: ეს როგორ?

ფოქსლავი: უნდა ვეცადოთ, რომ მისი საქციელებით მამათქვენს შესძულდეს ირლანდიური ქორწინება და აზრი შეიცვალოს.

ჯულია: შესანიშნავია! მაგრამ ნამდვილი მისტერ მაკარტი სად იქნება ამ დროს?

ფოქსლავი: ეს უკვე ომის უკუღმართობას მივანდოთ და იმედი ვიქონიოთ, ყველაფერი კარგად დასრულდება.

ჯულია: ეს ხომ დანაშაულია. კუპიდონო, შენ დაგვიფარე.

ფოქსლავი: ყველაფერი კარგად იქნება. მე მსახურის ტანსაცმელში გამოვეწყობი და ჩანაცვლებულ მისტერ მაკარტთან ერთად ვიქნები, რომ შენი დაცვა შევძლო.

ჯულია: ბრავო! გენიალურია!

ფოქსლავი: შემოდი ტიმ, ახლავე!

ტიმი: (კულისებიდან) მოვდივარ, ბატონო, მოვდივარ.

ფოქსლავი: ის უკვე შესაბამისადაა გამოწყობილი - ხუმარა და თავხედი ახალგაზრდა ირლანდიურ ტანისამოსში. ახლავე-მეთქი ტიმ! იჩქარე!

ტიმი: (კულისებიდან) დამშვიდდით ბატონო, დამშვიდდით, ახლავე კულის ქიცინით თქვენთან გავჩნდები.

ჯულია: ის და ნორა საყვარლები არიან.

ფოქსლავი: ნუთუ? ტიმ, ტიმ!

[შემოდის ტიმი]

ტიმი: აქ ვარ, ბატონო.

ფოქსლავი: როგორც იქნა.

ტიმი: თვაზიანობა მოვალეობაზე მნიშვნელოვანია, სერ. უპირველესყოვლისა ქალებს უნდა ვემსახუროთ.

ჯულია: ასეა, ძვირფასო ფოქსლავ. ჩვენც ხომ ვიცით, რა რთულია განშორება.

ტიმი: დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. თვენ ზღვის კიდეში ჩამალული უძვირფასესი ქვა ხართ და მხოლოდ თქვენ მემეტებით ჩემი ბატონისათვის.

ფოქსლავი: კარგი ტიმ, საქმეზე გადავიდეთ.

ტიმი: მიმსახურეთ ბატონო.

ფოქსლავი: ვიცი, რომ ჭკვიანი და განათლებული ახალგაზრდა ხარ, ტიმ.

ტიმი: ეს ყველაზე მართალი და ამაღელვებელი ფრაზაა, რაც თქვენგან გამიგია.

ფოქსლავი: აბა, თანახმა ხარ ჩემს მიერ შემოთავაზებულ დავალებაზე?

ტიმი: თანახმა ვარ, ჩემო ბატონო.

ფოქსლავი: შესანიშნავია. დროა გეგმა სისრულეში მოვიყვანოთ, ამიტომ დროებით დაგემშვიდობებით, ძვირფასო ჯულია.

ფოქსლავი: დროებით, ფოქსლავ. დაე ღმერთმა ისურვოს თქვენი დახმარება. (ფოქსლავი გადის) და ტიმ, დაიმახსოვრე! ჩემი ბედნიერება ახლა შენს ხელშია!

ტიმი: დარდი ნუ გექნებათ, ჩემო ძვირფასო, მენდეთ, თქვენთვის ცეცხლსაც არ შევუშინდები. (ჯულია გადის). ტიმ რაფერტ, ტიმ რაფერტ, დროა აჩვენო სამყაროს, როგორი განათლებული ხარ. „თქვენთვის ცეცხლსაც არ შევუშინდები“ - თუ თავად არ ვუჩვენებ ყველას რა შეუძლია ირლანდიელ კაცს, შესაძლოა ველარასდროს ვიხილო ირლანდია, ან ჩემი ძვირფასი ნორა.

[გადის ტიმი, შემოდის ჯულია]

ჯულია: ღმერთს ვევედრები, ყველაფერი გამოგვივიდეს, ჩემი გული კვლავ აივსო იმედით, იმედითა და სიყვარულით. ო, სიყვარულო! რა სასტიკია შენი ზრახვები.

[შემოდის ნორა]

ნორა: ო, ჩემო ქალბატონო, ჩემი ტიმი საოცრად გარდაისახა. ამბობს, რომ სრულიად ვერ ვიცნობ, რომ ისეთი ინტელიგენტი კაცი გახდება, რომ კარაქიან პურსაც კი დანა-ჩანგლით მიირთმებს.

ჯულია: ამას ჩემი სამსახური ავალეხს, ნორა.

ნორა: ძალიან ვღელავ.

ჯულია: ჩვენი გეგმა უწყინარია.

ნორა: მაგრამ რა მოხდება, თავის თავს რომ აღარასდროს დაუბრუნდეს?

ჯულია: ასეც რომ მოხდეს, ის მაღალი წრის ჯენტლმენად დარჩება.

ნორა: მაღალი წრის ჯენტლმენად - კი მაგრამ, მე რომ ასეთები არ შემეფერება?

ჯულია: რატომაც არა?

ნორა: იმიტომ, რომ მათი მანერები არ მომწონს. არც მათი აპრეხილი წვერ-ულვაში, მოდური პლაშები, სუფთა ფეხსაცმელები და ნაზი ხელები. ასეთი კაცებისთვის რთულია ქალს უთხრან, რომ ლამაზები არიან. ასეთ კაცში გროშსაც არ გადავიხდები. არა, ბატონო. მე ჩემნაირი კაცი მირჩევნია, ღარიბულად გამოწყობილი, მაგრამ პატიოსანი სულის პატრონი. ისეთი, რომელიც ანგელოზივით შეგიყვარებს და ლომივით იბრძოლებს შენთვის.

ჯულია: (იცინის) ნორა, როგორი მჭერმეტყველი ყოფილხარ.

ნორა: მერედა ეს კარგი არაა, მის მაკრი? ნეტავ თქვენც იცოდეთ როგორია ირლანდიელის სიყვარული. ისინი ღარიბი გოგოების განძია, რომლებიც მათ გულებში მემამოხეს აღვიძებენ. მათი მიხვრა-მოხვრა, ვნებიანი ალერსი ჭკუას გაკარგვინებს, მზად ხარ ერთიანად უთხრა „შე ცბიერო ეშმაკო, დამეუფლე და მაქციე ერთგულ ქალად“. მაგრამ, აი მამათქვენიც, მის, გავალ და დებოშისთვის მოვემზადები. ეს რა ხათაბალაში გავყავი თავი, ოხ, ეს სიყვარული, არცერთ ქმნილებას არ ინდობს და ვაი ჩვენ, ვინც მას ვემონებთ.

[ნორა გადის, სცენის სიღრმიდან შემოდის მისტერ ბალფინჩი]

მისტერ ბალფინჩი: აბა, ძვირფასო ჯულია, ყველაფერი მზადაა. დროა ღირსეულად შევეგებოთ ჩემი ძველი მეგობრის ვაჟს და შენს მომავალ ქმარს.

ჯულია: მაგრამ, ძვირფასო მამა, ჯერ კიდევ ვერ შევეგუე იდეას, რომ იმ კაცს უნდა გავყვე ცოლად, რომელსაც არც კი ვიცნობ.

მისტერ ბალფინჩი: ამიტომ ჯერ გაიცნობ და შემდეგ გაყვები. თანაც, ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, ნახე რა მითხრა მამამისმა [კითხულობს] „ჩემი ძვირფასი ვაჟი, რომელიც აღიზარდა და განათლება მიიღო ინგლისში, მშვიდი, თავაზიანი, თავდაჭერილი, გასაოცარი ახალგაზრდა ყმაწვილია. მას ყველა უნარი აქვს, რომ კარგი ქმარი იყოს, და გავბედავ გითხრათ, რომ თქვენს ქალიშვილსაც იმსახურებს“. - გესმის? ამაზე მეტი რა უნდა ისურვო ადამიანმა?

ჯულია: ერთი რამ. ადამიანი, რომელსაც შევძლებ ჩემი გული ვაჩუქო.

მისტერ ბალფინჩი: ხოდა აჩუქე გული მას. ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, ეს გოგო ნამდვილად უგუნურია.

ჯულია: ასე არაა! მთელი ცხოვრება ვცდილობდი შენთვის მესიამოვნებინა. მაგრამ როცა საქმე ეხება ისეთ საკითხს, რომელზეც ჩემი მომავალი ბედნიერებაა დამოკიდებული, ვიმედოვნებ დამრთავ ნებას ვისარგებლო ქალური პრივილეგიებით.

მისტერ ბალფინჩი: შენ კარგი გოგო ხარ, ჯულია, ძალიან კარგი. მაგრამ მე უკვე პირობა დავდე და, ბალფინჩების სისხლს ვფიცავ მას ვერ გავტეხ! ასე რომ, მიიღე ის ახალგაზრდა ყმაწვილი, თანაც თუ ძველ მეგობარს დავუჯერებთ, დარწმუნებული ვარ, ძალიან მოგეწონება.

ჯულია: ყველაფერს ვიზამ, რომ გასიამოვნო, ბატონო.

მისტერ ბალფინჩი: დარწმუნებული ვარ. (ისმის კაკუნს) გამარჯობა! ვინ არის? ალბათ ახალგაზრდა ყმაწვილი და მისი მსახურ მოვიდნენ. ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, როგორ მინდა გაგაოცო.

ჯულია: (თავისთვის) ესენი კაპიტანი და ტიმი იქნებიან. ჯობს გავიდე და ჩემი როლის შესასრულებლად მოვემზადო.

[ჯულია აგადის]

მისტერ ბალფინჩი: ეჰ, ჯულია. (ჩაიცინებს) შე პატარა ეშმაკუნა ჰაჰა, როგორ უყვართ ქალებს ყველაფრისთვის საგანგებოდ მზადება. ახლა კი ჩემს მომავალ სიძესთან დასახვედრად ემზადება...

[შემოდის სასაცილოდ გამოწყობილი ტიმ რაფერტი, უკან მოსდევს კაპიტანი ფოქსლავი, როგორც მისი მსახური. ტიმი შემოდის სიმღერით „წმინდა პატრიკი ჯენტლმენი იყო...“]

მისტერ ბალფინჩი: ნუთუ მეღირსა მისტერ მაკარტის ხილვის პატივი?

ტიმი: როგორც წმინდა პატრიკის მეცამეტე ზარის ხმაზე თქვა ერთმა კაცმა, ცხოვრებაში ერთხელ, მართალი ბრძანდებით. როგორც ვხვდები, თქვენ მოხუცი მისტერ ბალფინჩი უნდა იყოთ.

მისტერ ბალფინჩი: თქვენი მონა-მორჩილი. მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით, ჩემო ბატონო, ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, ძალიან მოხარული.

ტიმი: ხელი მიბოძეთ, პატივცემულო, ეს მე ვარ მოხარული თქვენთან შეხვედრით. დაე სიკვდილის ბოლომდე ვიცნობდეთ ერთმანეთს და სიკვდილის მერეც.

[ტიმი მაგრად უჭერს ხელს მისტერ ბალფინჩს, იქამდე, სანამ ტკივილისგან ცეკვას არ დააწყებინებს]

მისტერ ბალფინჩი: ჩემო ძვირფასო, ეს რა ძლიერი ხელის ჩამორთმევა გცოდნიათ, ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, კინაღამ მომტეხეთ, თუმცა ერთი მითხარით, მამათქვენი როგორაა?

ტიმი: თავისი ასაკითვის ძალიან მხნედაა, ნებისმიერი ხნიერი ისურვებდა მასსავით ყოფნას [თავისთვის] ის უკვე 12 წელია მკვდარია.

მისტერ ბალფინჩი: ალბათ ჩემთან წერილიც გამოგატანა.

ტიმი: (თავისთვის) ჩემ მტერს გამოატანა მაგან წერილი.... (მისტერ ბალფინჩს) ახლა გეტყვით რაშია საქმე, როდესაც წერილების უზარმაზარი კონა დავინახე, ჩემს თავს ვკითხე, რა საჭიროა წვალემა და ამხელა რამის ზღვის იქით ხელით თრევამეთქი. ამიტომაც გამოვიყენე თავისუფლება და ყველა მათგანი წავიკითხე, როგორც ნამდვილმა არამზადამ. ასე რომ, ჩემი პირით შეიტყობთ მოხუცი პატივსაცემი მამის ამბებს. ეს ბევრად მოსახერხებელი საშუალებაა და იაფიც, სხვათაშორის.

მისტერ ბალფინჩი: რა გაეწყობა, წერილებით, თუ წერილების გარეშე, მაინც მისაღები სტუმარი ხარ.

ტიმი: ვინაიდან მაგაში დარწმუნებულიც კი ვარ, ვეცდები თავი ისე ვიგრძნო, როგორც საკუთარ სახლში, როგორც ირლანდიელმა პედიმ ქნა, გახსოვთ? საქმელები რომ სტუმრების ოთახში შეიტანა და იქვე დაიძინა... [კაპიტან ფოქსლავს] ჯონ, შე არამზადა, ოთახი მომიმზადა და სახლის გზები კარგად შეისწავლე. მომზადე, მოშინაურდი, მოსამსახურე ქალები გაიცანი და აჩვენე რა კაცები ვართ ირლანდიელები, შე ეშმაკო.

ფოქსლავი: დიახ, ბატონო. (თავისთვის) ეს რა ხათაბალაში გავეხვიე....

მისტერ ბალფინჩი: (თავისთვის) რა გაუთლელი ახალგაზრდაა, ვშიშობ მამამისი დაბრმავებულა.

ტიმი: აბა, მოხუცო, სადაა ჩემი ძვირფასი საცოლე? ოჰ, მე ახლა მეორე ენაზეც დავიწყე საუბარი და ეს სიყვარულის ენაა.

მისტერ ბალფინჩი: ახლავე დავუძახებ. (თავისთვის) ო, ღმერთო, ვშიშობ ბოჰემური ყმაწვილი სრულიად არ შეეფერება ჩემს გოგოს. [გადის]

ფოქსლავი: ჩინებულია ტიმ, ჩინებული. ასე გააგრძელე. ეჭვგარეშეა, მალე საკმარის ირლანდიურ გაკვეთილს მიიღებს.

ტიმი: ნუ დელავთ ბატონო, ეს ჯერ მხოლოდ ჭამამდე მისაღები მადის აღმძვრელი სასუსნაოა.

ფოქსლავი: აბა შენ იცი. ხომ გახსოვს სანაცვლოდ რა ჯილდოც გელის?

ტიმი: ოცი გირვანქა და ნორა. თუ ფულსა და ქალს არ შეუძლია კაცს საკმარისი მხნეობა შემატოს, ესე იგი ის კაცი არც არაფერში გამოდგება.

ფოქსლავი: არამგონია ჩანაფიქრს მიგვიხედეს...

ტიმი: ჩუმად, ძვირფასო, მოდიან.

[შემოდინან მისტერ ბალფინჩი და ჯულია]

მისტერ ბალფინჩი: ნება მომეცით, სერ, წარმოგიდგინოთ ჩემი ქალიშვილი. ჯულია - მისტერ მაკარტი; მისტერ მაკარტ - მის ბალფინჩი.

ტიმი: ჩემთვის დიდი პატივი და ბედნიერებაა თქვენი ხილვა, ჩემო ძვირფასო. განგებამ უხვი სილამაზით დაგაჯილდოვათ.

ჯულია: ოჰო...

ტიმი: ვიცი რის თქმასაც აპირებთ, ძვირფასო, მაგრამ უნდა შეგაწყვეტინოთ. ვინაიდან ქალის გაჩუმება მხოლოდ ერთი გზითაა შესაძლებელი, ნება მიბოძეთ კოცნა მოგპაროთ (მიდის საკოცნელად)

ფოქსლავი: გაჩუმდით, როგორ ბედავთ, ბატონო?

ტიმი: დამშვიდდი, ჯონ. რა დაგემართა, არ მივესალმო ჩემს მომავალ ცოლს ირლანდიური წესის შესაბამისად?

ფოქსლავი: ნუ გარისკავთ, ბატონო (უკან აბრუნებს).

ტიმი: ეს აუცილებელია, ყველაფერი წესისამებრ უნდა იყოს. ო, ჩემო ძვირფასო, შენ უბადლო სილამაზისა ხარ. ჩემი გული ცხელი კარტოფილივით ხურს. ეს შენ ხარ ვის გვერდზეც მინდა ცხოვრება გავატარო. [კოცნის]

მისტერ ბალფინჩი: (თავისთვის) აი, მესმის თავშეკავება. ბალფინჩის სისხლს ვფიცავ, ნამდვილი ეშმაკია.

ტიმი: ჩემთვის ეს კოცნა ის ელექსირია, რომელიც მოხუცს კვლავ ახალგაზრდად აქცევს. ექიმის რეკომენდაციით, წამლის დოზა მაშინვე უნდა განმეორდეს (კოცნის)

ფოქსლავი: საკმარისია, ამას ვეღარ ავიტან, ბატონო.

ტიმი: რას გულისხმობ, შე ბინძურო უსაქმურო. ხომ არ გავიწყდება ვინ ვარ? ახლავე დატოვეთ აქაურობა, ბატონო.

ფოქსლავი: რა, ბატონო?

ტიმი: რა? ვეღარ გავიგე, მე ვარ ბატონი, თუ შენ? დატოვეთ აქაურობა, გაეთრიე, ახლავე!

[ტიმი ხელით აგდებას ოთახიდან კაპიტან ფოქსლავს, ჯულიაც გარბის]

ტიმი: თავხედი არამზადა.

მისტერ ბალფინჩი: ნამდვილად გადააჭარბა.

ტიმი: გადააჭარბა? მე ამას თავხედობას ვეძახი. თავხედი მსახური, რა შესანიშნავი კომბინაციაა. ეს ხომ მხოლოდ ანრისხებს ბატონს? რაო? ჩემმა მარგალიტმაც დაგვტოვა? თუ ყველა ბალფინჩი მას ჰგავს, განებივრებული ყოფილხართ ღვთიური სილამაზის ქალებით...

მისტერ ბალფინჩი: (თავისთვის) ვშიშობ, ჯულია თქვენზე სხვა აზრისაა. (ტიმს) მიხარია, რომ მოგეწონათ, ნამდვილად ეშხიანი ქმნილებაა.

ტიმი: ანგელოზია ქალის სხეულში. და მისი მომავალი.... ხო მართლა, რამდენის მიცემას აპირებთ მზითვის სახით?

მისტერ ბალფინჩი: (თავისთვის) რა უტაქტო შეკითხვაა. (ტიმს): ქორწინების შემდეგ ათი ათას გირვანქას გადავცემ.

ტიმი: ათი ათასი! მხოლოდ 10 000? გინდა ჩემი თავი 10 000 გირვანქად გავყიდო? პადი ო'ფლანგიენს არაფრით ჯობიხარ, მას ცოლი და 10 შვილი დღეში ექვს კარტოფილზე ჰყავდა, წარმოგიდგენია? რა გინდა, რომ ჩვენც ვიშიმშილოთ, შე ბებერო მუქთახორა?

მისტერ ბალფინჩი: შიმშილი -- მუქთახორა,.. ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, ეს რა მესმის...

ტიმი: რაც გაიგე! ახლა გეტყვი როგორ ვაპირებ ცხოვრებას და შენ გადაწყვიტე ეგ გროშები თუ მეყოფა.

მისტერ ბალფინჩი: ყურადღებით გისმენ, ბალფინჩების სისხლს ვფიცავ.

ტიმი: ხო, მომისმინე. ჯერ ქალაქში ყველაზე დიდ სახლს შევიძენ, მსახურები სოკოებივით ბევრი უნდა იყოს, ლაქიები, მეეტლეები, მეზღვეები, მსახურთუფროსი, მოახლე ქალები, მზარეულები, და როგორც ვხვდები, მალე ძიძაც დამჭირდება, ბავშვის აღმზრდელი და რა თქმა უნდა ძვირადღირებული მანქანა, მე ყველაფერს უნდა დავეწიო, თუმცა ვერაფერი უნდა დამეწიოს მე. ზოგი ღირსეულად მომიხსენიებს, ზოგი ეშმაკს შემადარებს. შემლილი ირლანდიელი! სამუდამოდ ტიპერერიელი! ოხ, სისხლი ამიდულდა! [მაგიდაზე ხტება და ყრის ჭიქებს]

მისტერ ბალფინჩი: კი მაგრამ, ბატონო...

ტიმი: და წვეულებები? რა საოცარ წვეულებებს მოვაწყობ. ღვინო და ვისკი შადრევნებივით იდენს, მათთან შედარებით თვით ირლანდიური ყველაზე დიდი ზომის სასმისიც კი არაფერი იქნება. ლორდები, ქალბატონები, რაინდები, ლამაზი ქალიშვილები, მომაჯადოებელი მუსიკა, ცეკვები... ირლანდიურ ცეკვას ვიცეკვებ - ჯიგას, ხომ გაგიგიათ [აბრაზუნებს ფეხებს] გავაოცებდი იმ უტვინოებს. როგორ ფიქრობ, რანაირად უნდა შევძლო ეს ყველაფერი ძლინკიანი ათასი გირვანქით? თანხა აუცილებლად უნდა გაზარდო....

მისტერ ბალფინჩი: არაფრის დიდებით, ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, ერთ პენისაც არ დავამატებ.

ტიმი: გაიმეორეთ!

მისტერ ბალფინჩი: ვიმეორებ.

ტიმი: იმეორებთ?

მისტერ ბალფინჩი: დიიახხ... ბალფინჩების სისხლს ვფიცავ...

ტიმი: მაკარტების სისხლს ვფიცავ, ბალფინჩების ჩიბუხისგან ლამაზ სალამურს დავამზადებ. სისხლი ტვინში მივარდება. ბინძური ათი ათასი, არამზადავ. მოდი ჭკუა უნდა გასწავლო, ირლანდიის პატივსაცემად, ერთს კარგად მიგბეგვამ, მოდი შე ბებერო მამალო.

[არტყამს მისტერ ბალფინჩს, რომელიც სცენის სიღრმეში უკან იხევს, მას ტიმი მისდევს და აგრძელებს რტყმას]

მისტერ ბალფინჩი: დამეხმარეთ! მკვლელი! დამეხმარეთ.

[შემოდინან ჯულია და კაპიტანი ფოქსლავი]

ჯულია: რა ხდება, ძვირფასო მამა?

მისტერ ბალფინჩი: ცოტაც და მომკლავდა, ეს შეშლილი.

ტიმი: მომკლავდაო? რას ლაპარაკობს? მე მხოლოდ საბრძოლო ხელოვნებას ვუჩვენებდი, ეს მეგობრული ჟესტი იყო, თქვენი შემოსვლით რომ არ ჩაგეშალათ ეს სპორტული გართობა.

მისტერ ბალფინჩი: ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, ასეთი მეგობრული ჟესტები არაფერში მჭირდება. ღმერთო ჩემო, ეს უნდა იყოს ჩემი სიძე?

ჯულია: ან ჩემი ქმარი? დაუშვებელია!

მისტერ ბალფინჩი: ვიცი რომ მოხუცი სულელი ვარ. ვგრძნობ, მაგრამ მოდი ერთი შანსიც მივცეთ, როგორმე გონება უნდა მოვიკრიბო, ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, ასეთი ადელვებული წლებია არ ვყოფილვარ, ახლა დაგტოვებ ბატონო.

ჯულია: და ბედნიერებაც თქვენთან ერთად დამტოვებს.

მისტერ ბალფინჩი: ოჰ, ძვირფასო!

[გადიან მისტერ ბალფინჩი და ჯულია]

ტიმი: ვაშა, ესეც გაკვეთილი მოხუც ჯენტლმენს. უკვე მესმის ჩემი ჯიბიდან 20 ოქროს მონეტის ჩხრიალის ხმა.

ფოქსლავი: მაგრამ ზღვარს გადაცდი. რა გარემოებამ გაფიქრებინათ, რომ შეგეძლო ქალბატონისთვის გეკოცნა?

ტიმი: ხომ ბუნებრივად უნდა ყოფილიყო ყველაფერი, ბატონო? შეყვარებული, რომელიც თავის ცოლს შესაბამისად არ ესალმება? ასეთი რამ წარმოუდგენელია ირლანდიაში. ყველაფერი სწორად მიდის, საღამომდე თავში მხოლოდ ის ექნება, თავიდან როგორ მომიცილოს, აგერ ნახავთ.

ფოქსლავი: მომავლაში უფრო ფრთხილად მოიქეცი! ძვირფასო ჯულია!

[შემოდის ჯულია]

ჯულია: მამაჩემი ოთახში შევიდა, რომ ცოტახნით დაისვენოს. მაგრამ მე ჭიშკარზე კაკუნის ხმამ ამაღელვა.

[შემოდის ნორა, ძალიან ჩქარა]

ნორა: ოჰ, მემ, სერ, ყველაფერი დამთავრდა, გული ვეშაპისხელა გამიხდა, თავი მედუზებით მაქვს სავსე...

ტიმი: ყველაფერი დამთავრდა? ნუთუ ასეა? ოცი გირვანქა ჯიბეში და შენ - მკლავებში. ასეა? რა დამთავრდა, ძვირფასო?

ნორა: ტიმ! ის აქაა, ის მოვიდა!

ყველა ერთად : ვინ?

ნორა: ნამდვილი მისტერ მაკარტი - მისდა საუბედუროდ - ახლახანს ჩამოვიდა.

ტიმი: ეშმაკმა დალახვროს! ეს ცუდის ნიშანია. ბინძური მუქთახორა. ახლა როგორ მოვიქცე?

ჯულია: დავმარცხდით! რა საშინელებაა...

ტიმი: ეს საქმე მე მომანდეთ. ბრძოლა ჯერ არ წამიგია. გამომყევით და ყველაფერს აგიხსნით. და, ნორა, გაუღე კარი ახალგაზრდას და აქ მოიყვანე, ძვირფასო. [გადის ნორა] გგონიათ ოც გირვანქას ასე ადვილად დავთმობ? არა, ჯერ ირლანდიური ცბიერების გემოს გავასინჯებ. გამომყევით.

[გადის. შემოდის ნორა მისტერ მაკარტისთან ერთად]

ნორა: აქ მოიცადეთ, სერ, სანამ ოჯახს თქვენი მოსვლის ამბავს შევატყობინებ.

მისტერ მაკარტი: როგორც იქნა აქ ვარ. მამაჩემის ძველი მეგობრის სახლში, მისი ქალიშვილის ხელის სათხოვნელად, რომელიც ჯერ არც კი მინახავს. მაგრამ მზეთუნახავიც რომ იყოს, მის შეყვარებას ვერასდროს შევძლებ, რადგან ჩემი გული უკვე სხვას ეკუთვნის. როგორმე უნდა მოვახერხო და ჩავშალო ნიშნობა, ისე რომ არც მოხუცი ჯენტლმენი გავადიზიანო და არც ახალგაზრდა გოგონა, რომლისთვისაც საბედნიეროდ არაფერს ნიშნავს ადამიანი, რომელიც არც არასდროს უნახავს.

[შემოდის ტიმი]

ტიმი: (თავისთვის) ახლა კი ჯენტლმენი უნდა განვასახიერო. (ხმამაღლა) როგორც ვხვდები, თქვენ მისტერ მაკარტი უნდა იყოთ, ასე მაცნობეს.

მისტერ მაკარტი: თქვენი მონა-მორჩილი. შეიძლება ვიკითხო ვისთან საუბრის პატივი მაქვს?

ტიმი: დედაჩემ ფიცპატრიკს მეძახდა და ყოველთვის ამბობდა, რომ მე მისი შვილი ვიყავი. თქვენს სამსახურში მიგულეთ, დიდხანს გელოდით.

მისტერ მაკარტი: თუ არ ვცდები, რამდენიმე დღის წინ მამაჩემმა უკვე გაცნობათ ჩემი ჩამოსვლის მიზანი. შემიძლია მისტერ ბალფინჩს შევხვდე?

ტიმი: საბრალო მოხუცი...

მისტერ მაკარტი: იმედი მაქვს რაიმე უეცარი დაავადება არ შეეყარა!

ტიმი: საბრალო მოხუცი. ეს დიდი მწუხარებაა ოჯახისთვის...

მისტერ მაკარტი: ოჯახისთვის? პატივცემულო, გამაგებინეთ რა მოხდა?

ტიმი: არ გაგიგიათ?

მისტერ მაკარტი: რა უნდა გამეგო?

ტიმი: საბრალო მოხუცი...

მისტერ მაკარტი: მისი ბოლო წერილის შემდეგ სიტყვაც არ მსმენია მასზე.

ტიმი: ალბათ დაავიწყდა თქვენთვის მოეწერა. სამწუხაროდ მე უნდა გაცნობოთ, აქ ცოტა ვერაა (თითს საფეთქელზე იდებს)

მისტერ მაკარტი: რას გულისხმობთ? ავადაა?

ტიმი: ოღონდ გონებით, სხეულით არა.

მისტერ მაკარტი: თქვენი ვერაფერი გავიგე, სერ. იქნებ უფრო გარკვევით მითხრათ რა სჭირს?

ტიმი: უფრო გარკვევით თუ გინდათ, შეიშალა.

მისტერ მაკარტი: შეიშალა?

ტიმი: როგორც დენის ო'ფლაგერტი, რომელმაც უკანა კარზე პლაშის ნაცვლად თავისი თავი გადაკიდა. მისი ტვინი კარტოფილივით თეთრია. მას მე ვუვლი.

მისტერ მაკარტი: ო, ღმერთო, რა უიღბლობაა. ეს როდის მოხდა?

ტიმი: ზუსტად არ მახსოვს...

მისტერ მაკარტი: ხომ არ ბოდავს?

ტიმი: თანაც როგორ... ზოგადად ძალიან მშვიდადაა ხოლმე, მაგრამ თუ რაიმე აიკვიატა გონებაში.... იცით ახლა რაზე ფიქრობს განუწყვეტლივ?

მისტერ მაკარტი: რაზე?

ტიმი: გამუდმებით მაკარტის მემახის. ძალიან უცნაურია.

მისტერ მაკარტი: ძალიან!

ტიმი: ხოდა როცა შეგხვდებით, იმის მტკიცებას დაგიწყებთ, რომ თქვენ თქვენ არ ხართ.

მისტერ მაკარტი: და როგორც მოვიქცე ამ დროს?

ტიმი: თუ მიუშვებ, ყველაფერი კარგად ჩაივლის, მაგრამ თუ საპირისპიროს თქმას შეეცდები, ძალიან გაბრაზდება და გაგიჟდება. ასეთია მისი სიგიჟე, აი თავად ნახავ...

მისტერ მაკარტი: მჯერა... ხომ არ იცით რამ გამოიწვია მისი ეს მდგომარეობა?

ტიმი: ნუ ახლა, ეს კონფიდენციალური ამბავია, ხომ გესმის. არავის უნდა უთხრათ.

მისტერ მაკარტი: რა თქმა უნდა, შეგიძლია მენდოთ.

ტიმი: მოკლედ, ჩვენს შორის დარჩეს და პრობლემა ამ ოჯახშია.

მისტერ მაკარტი: რას იმახით. მისი ქალიშვილი....

ტიმი: ოხ ეს არსება... პენის მეოთხედსაც კი არ გავიმეტებდი მასში. ეს გოგო მამამისზე გიჟია.

მისტერ მაკარტი: რა საცოდაობაა... და, როგორ იქცევა ხოლმე?

ტიმი: აი იმ კაცივით, რომელიც ხან ცაში ადის ვარსკლავებზე სათევზაოდ, მეორე წუთს კი ბრახ და მიწაზე ეცემა, ამ დროს ისეთი მრისხანია, მისნაირ ეშმაკს ვერსად შეხვდებით.

მისტერ მაკარტი: ჯობს აქაურობისგან თავი შორს დავიჭირო. სიგიჟე ძალიან საფრთხილოა, ასეთ გოგოს ორმოცდაათი ათასდაც კი არ შევირთავდი.

ტიმი: აი, მგონი ისიც მოდის. აგერ ბატონო, ახლა ყველაფერს თქვენზე თვალთ ნახავთ.

მისტერ მაკარტი: (თავისთვის) ეს კარგი გასამართლებელი მიზეზი იქნება ნიშნობის ჩასაშლელად.

[შემოდის ჯულია, საუცხოოდ ჩაცმული]

ტიმი: ნება მიბოძეთ წარგიდგინოთ მისტერ მაკარტი, ის პატარა ქალაქ ტუმავარიდანაა. (ჯულიას) ახლა თქვენი მოქმედების ჯერია, მემ, მანამდე მე მამათქვენთან წავალ.... [გადის]

ჯულია: სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა, თქვენზე ბევრი წერილი წავიკითხე, ბევრი ვიფიქრე ახლა კი აქ ხართ, გიყურებთ, რა შესანიშნავია.

მისტერ მაკარტი: (თავისთვის) რა უხერხული სიტუაციაა... (ჯულიას) ძვირფასო ქალბატონო, მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით

[სხდებიან]

ჯულია: ტკბობის მორევში ვეშვები. როდესაც, ჯერ კიდევ ახალშობილი, დედის კალთაში ვიწექი, გონებაში სახელი ჩამესმა, რომელიც ჩემს მომავალთან იქნებოდა დაკავშირებული. ის თქვენი სახელი იყო, ჩვენი სახელები ვარდის ღეროებივით ერთმანეთშია ჩაწნილი. მათ დიდხანს ვინახავდი ჩემს გულში, ეს უტკბესი სურათი

ჩემს გონებას არ შორდებოდა, როცა წიგნის კითხვისას, თუ ცის ცქერისას, თვალწინ ყოველთვის თქვენ მედექით, ახლა კი აქ ხართ, როგორც კამკაშა მნათობი და თქვენი ბრწყინვალეობით ანათებთ არემარეს....

მისტერ მაკარტი: (თავისთვის) ეჭვგარეშეა, გიჟია. (ჯულიას) ძვირფასო, მამათქვენის გამო ვწუხვარ...

ჯულია: მამა... ის თითქოს სამოთხეშია... სასთუმალთან ანგელოზებს ხედავს, ისიც ხომ ჩემი მფარველი ანგელოზი იყო, მანამ, სანამ თქვენ გამოჩნდებოდით ჩემს წასაყვანად...

მისტერ მაკარტი: (თავისთვის) ღმერთო დამიფარე. (ჯულიას) არაფრის დიდებით მას ასეთ განძს არ მოვპარავდი.

ჯულია: მაგრამ ახლა ხომ ჩემს წასაყვანად მოხვედით. მზად ვარ ვიგემო თქვენი ალერსი (ეხვევა)

მისტერ მაკარტი: კი მაგრამ, ძვირფასო... მე.. მართლა...

ჯულია: მოეშვით, მოდუნდით, ახლა სამოთხის ბაღში ვართ, სადაც სამუდამო ბედნიერება გველის. აქ უბედურება ვერ აღწევს, მხოლოდ სიყვარული და ვნება. ჰაერში სიყვარულის საამო სურნელებას ვგრძნობ. თქვენ კი ანგელოზივით შემომცქერით. ხომ არასდროს დამშორდებით?

მისტერ მაკარტი: (თავისთვის) ნეტავ ახლავე შემემდლოს. (ჯულიას) არა, არასდროს.

ჯულია: ყოველთვის გეყვარებით და იზრუნებთ ჩემზე.

მისტერ მაკარტი: ყოველთვის, ყოველთვის. (თავისთვის) ოღონდაც ამას მომაშორა...

ჯულია: არასდროს გაუღიმებთ სხვებს ისევე, როგორც მე, ხომ ასეა?

მისტერ მაკარტი: გარწმუნებ, არასდროს.

ჯულია: დაიფიცეთ, რომ ყოველთვის სიმართლეს მეტყვით.

მისტერ მაკარტი: რა თქმა უნდა, მადამ...

ჯულია: დაიფიცეთ! თუ არა და ეჭვიანობის დემონი დამეუფლება და მომიწევს პატარა ვარსკვლავებად დაგანაწევრო. დაიფიცეთ!

მისტერ მაკარტი: (თავისთვის) ბოდავს. (ჯულიას) გეფიცებით, გეფიცებით.

ჯულია: მაშინ სამუდამოდ აქ დავრჩები. [თავს მის მხარზე დებს]

მისტერ მაკარტი: (თავისთვის) ეს რა ხათაბალაა. როგორ დავიძვრინო მისგან თავი? მართლაც საინტერესო სიტუაციაა. (ჯულიას) შეგიძლია მამათქვენთან მიმიყვანოთ?

ჯულია: აქვე ჩამეძინება. ეს ვინ მიახლოვდება, ეშმა? დემონი? მოდის რომ გამანადგუროს? აი, აქაა, აქაა [მიეხუტება] მიშველე, მიხსენი. შეგვეშვას, მოგვცეს საშუალება დავტკბეთ ამ ნეტარი წუთებით. აი ისევ ბრუნდება, შორს, მოშორდი. [გარბის]

მისტერ მაკარტი: მადლობა ღმერთს მომშორდა. ისევ ვსუნთქავ. საბრალო არსება. ბოდავს. რაც შეიძლება მალე უნდა გავადწიო აქედან. მერე კი შევძლებ შევიერთო ჩემი კატლინი, მამაჩემიც უთქმელად დამნებდება. [შემოდის ტიმი, იცინის]

ტიმი: (თავისთვის) ჰა, ჰა, რა დასანანია, ძალიან სასაცილოა, ხომ მართალი ვიყავი? ჯობს აქაურობას გაეცალოთ, ბატონო, აგერ მოხუციც მოდის თავის ერთ-ერთ კოსტიუმში, ო'ბრიენის ძროხას გავს, რომელიც იმის გამო გადავიდა ჭკუიდან, რომ თავის კუდს ვერ სწვდებოდა...

მისტერ მაკარტი: მართალია, წავალ, უკვე ისედაც საკმარისი ვიხილე...

ტიმი: აგერ აქაც შეგიძლია მოთავსდე, მყუდროდ იქნები, მოხუცი ვერ დაგინახავს და შენი თვალითაც შეძლებ ნახო რა ეშმაც ყავს ჩასახლებული...

მისტერ მაკარტი: მართალია, მადლობელი ვარ. ჯობს ჩემი თვალით ვნახო, თორე მამაჩემი არ მაპატიებს [შედის და იმალება კარადაში]

ტიმი: (თავისთვის) ახლა კი დასასრულის დროა. ახლა ყველაფერი თავის ადგილას დალაგდება (ხმამალა) აი ისიც, ჩუმად იყავით!

მისტერ ბალფინჩი: (კულისებიდან) სადაა, ის ნაძირალა, სად არის?

ტიმი: გესმით, ბატონო? ჩუმად იყავით, თორემ მოგკლავთ.

[შემოდის მისტერ ბალფინჩი, პარიკი უკულმა უკეთია და თავი ფქვილით აქვს დაფარული, ტანსაცმელი უწესრიგოდ აცვია]

მისტერ ბალფინჩი: შე თაღლითო, შე ნაძირალა, როგორ ბედავ, როგორ ბედავ ჩემს ასე გამოყენებას, ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, ამისთვის გაზღვევინებ. ასეთ რამეს არასდიდებით არ შევეგუები.

ტიმი: დამშვიდდით, თორემ ცუდად გახდებით, თავს უნდა გაუფრთხილდეთ.

მისტერ ბალფინჩი: ამ ქცევის მიზანი რა არის? შემომხედეთ სერ. აქ ფიგურაა.

მისტერ მაკარტი: (ჩუმად ამოიხედავს) (თავისთვის) ღმერთო, საბრალო კაცი!

მისტერ ბალფინჩი: ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, ჭკუიდან გადაგყავარ, მაგრამ ამას არ შევეგუები, აი რას გეტყვი, მისტერ მაკარტი.

ტიმი: (მიმართავს მისტერ მაკარტს) გესმით რას მეძახის?

მისტერ ბალფინჩი: მართალია მამათქვენს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ არც მისი ვაჟისგან ავითან ასეთ მოქცევას. ახლავე გაეთრიეთ ჩემი სახლიდან.

ტიმი: დამშვიდდით.

მისტერ ბალფინჩი: ვიმეორებო, გაეთრიეთ ჩემი სახლიდან. ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, თქვენი ატანა აღარ შემიძლია, ახლავე გაეთრიეთ.

ტიმი: ჩუმად, თორემ თქვენ წაგიყვანენ. ჩუმად და მომისმინეთ (მხოლოდ მისტერ ბალფინჩის გასაგონად) თქვენზე ამბობენ, რომ გაგიყვდი.

მისტერ ბალფინჩი: გავგიყვდი? ბალფინჩების სისხლს ვფიცავ!

ტიმი: გარწმუნებთ, ასეა. ისეთივე შემლილი ხართ, როგორც დუბლინელი მექუდე იყო, რომელსაც გაცვეთილი ქუდი ევარა და იფიცებდა, რომ არასდროს სძინებია...

მისტერ ბალფინჩი: ვშიშობ, ჯანმრთელი ვარ, ბალფინჩების სისხლს ვფიცავ.

ტიმი: ვხედავ თქვენი თვალების მოძრაობას, თქვენ მართლაც შეიშალეთ.

მისტერ ბალფინჩი: ამის ატანას აღარ ვაპირებ! ჯონ, აქ მოდი!

ტიმი: ჩუმად იყავით, არ გჯერათ ხომ, რომ შეიშალეთ?

მისტერ ბალფინჩი: რა თმა უნდა არა.

ტიმი: მაშინ ყურადღებით მისმინეთ, საიდუმლოს გაგიმხელთ! აი აქ, კარადაში, ფსიქიატრის მიერ გამოგზავნილი დამხმარეა დამალული, თქვენს წასაყვანად მოვიდა.

მისტერ ბალფინჩი: კარადაში? მაგ ნამირალას ახლავე გამოვატრევ. გამოდი შე არამზადა, გამოდი (ამოათრევ მაკარტის) შენ ეუბნები არა ხალხს, რომ გაგიყვდნენ? თვალებში შემომხედე და ისე მითხარი რომ გავგიყვდი. გისმენ, გავგიყვდი თუ არა?

ტიმი: (მისტერ მაკარტის) გაიხსენეთ რა გითხარით!

მისტერ მაკარტი: არ უნდა შევეწინააღმდეგო. (მისტერ ბალფინჩს) თუ ასე გსურთ, სერ, მაშინ გეტყვით, რომ მართლაც შეიშალეთ.

მისტერ ბალფინჩი: ესე იგი გავგიყვდი არა, შე არამზადა? სწორედ ასე ანადგურებენ უდანაშაულო ხალხს. ეს ყეფაზე უარესია. მართლაც შევიშალე, ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, მგონი მართლაც გავგიყვდი.

ტიმი: მშვიდად ბატონო, ნუღარ დაუმატებთ თქვენს თავს, დამშვიდდით.

მისტერ ბალფინჩი: მშვიდად ვარ, ორივე მოშორდით ჩემი სახლიდან, თორემ მომიწევს თავად გაგადლოთ.

მისტერ მაკარტი: სერ, მაკარტი მე ვარ.

მისტერ ბალფინჩი: მაკარტი!

მისტერ მაკარტი: თქვენი სიყრმის მეგობრის ვაჟი. მაკარტი, ტიპერარიდან.

მისტერ ბალფინჩი: აბა, საინტერესოა ახლა ვინაა შეშლილი?

მისტერ მაკარტი: აქ თქვენი ქალიშვილის სანახავად და შესართავად ჩამოვედი, მაგრამ იმედი მაქვს წინააღმდეგი არ იქნებით, თუ გეტყვით, რომ მას შემდეგ, რაც აქ მოვისმინე და ვნახე, მსურს ამ პატივზე უარი ვთქვა.

მისტერ ბალფინჩი: პატივზე უარი თქვა? ჰა ჰა, მომწონს, შენ ამბობ უარს? მომშორდი.

ტიმი: (თავისთვის) ყველაფერი აუღელვებელი ზღვასავით მიედინება. (მაკარტის) როგორც კი შეძლებ გაერიდე საუბარს, თორემ რაღაც ავის მომასწავლებელს ვგრძნობ მის ხმაში.

მისტერ მაკარტი: ნამდვილად, სიამოვნებით გაცნობებთ, რომ უარს ვაცხადებ შეთანხმებაზე და ვთანხმდები ამ დანაკარგს.

ტიმი: გემშვიდობებით, ბედნიერ მომავალს გისურვებთ. (თავისთვის) მშვენიერია. ოცი გირვანქა და ნორა...

[გადის ტიმი]

მისტერ მაკარტი: სერ, ეს წერილია მამაჩემისგან. ყველაფრის მიუხედავად, მინდოდა გადმომეცა, იქნებ თქვენ და თქვენს ქალიშვილს თავი უკეთ გაგრძნობინოთ...

მისტერ ბალფინჩი: მოიცა, მოიცა. ეს რას ნიშნავს. ხელი მართლაც ჩემი მეგობრისაა, „წერილის მომტანი - ჩემი ძვირფასი ვაჟი....“ ხელს აწერს დენის მაკარტი. შეუძლებელია მაკარტი იყო.

მისტერ მაკარტი: მხოლოდ მე ვარ ამ სახელის პატრონი, გარწმუნებთ.

მისტერ ბალფინჩი: ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, მაშინ ის ვინ იყო, ახლახანს რომ დაგვტოვა? მისტერ მაკარტი ხომ ისაა?

მისტერ მაკარტი: მე ის როგორც თქვენი მომვლელი ისე გავიცანი, სახელით - ფიცპატრიკი.

მისტერ ბალფინჩი: ჩემი მომვლელი?

მისტერ პატრიკი: დიახ, ბატონო, მითხრა, რომ თქვენც და თქვენი ქალიშვილიც ჭკუიდან შეიშალეთ.

მისტერ ბალფინჩი: შევიშალეთ... მგონი მართლაც ასეა. ჯერ ერთი მაკარტი, ახლა მეორე. ძალიან დავიბენი. ვინაა, სად წავიდა?

[შემოდინან კაპიტანი ფოქსლავი, ჯულია და ტიმი]

ტიმი: აი, ჩემო ძვირფასებოც, ტიმ რაფერტი თქვენს სამსახურში.

მისტერ ბალფინჩი: ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, ვინმე ამიხსნის აქ რა ხდება?

ფოქსლავი: ნება მიბოძეთ, ბატონო. თქვენ თქვენს ქალიშვილს ათი ათასი გირვანქის სანაცვლოდ სხვა ადამიანზე ათხოვებდით, მე კი მასზე შეყვარებული ვარ. ჩვენს მიერ შეთხზული ტყუილებით განერვიულებულმა შვება რომ იგრძნოთ, მინდა თქვენი ქალიშვილის ხელი გთხოვოთ.

მისტერ ბალფინჩი: ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, ყველაფერი სწორად გავიგე?

ჯულია: დიახ, ძვირფასო მამა. ჩემს ხელს ვერვის შევთავაზებდი, გულის გარეშე. ამით შენც დიდი თანხის დაზოგვას შეძლებ, თანაც გეცოდინება, რომ ამით შენი ერთადერთი ქალიშვილი დალუპვას გადაარჩინე.

მისტერ ბალფინჩი: კი მაგრამ, შენ ვინღა ხარ?

ფოქსლავი: კაპიტანი ფოქსლავი. ეს კი ჩემი მსახურია. მჯერა, სერ, რომ ყველაფერს გვაპატიებთ და თქვენს შვილს ბედნიერებას აჩუქებთ.

ტიმი: თუ არა და მომიწევს ისევ ფქვილით დაგისვაროთ პარიკი. ამჯერზე უფრო ყოჩაღად ვიზამ.

მისტერ ბალფინჩი: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რას იტყვის ამაზე მისტერ მაკარტი?

მისტერ მაკარტი: მიხარია, რომ ყველაფერი გაირკვა და თქვენც ჯანრმთელები ხართ. ჩემი ხელი და გული სხვას ეკუთვნის, ასე რომ, ნება მიბოძეთ მათ ბოდიშს მეც შევუერთდე გეგმების არევისთვის.

ტიმი: ოჰ, ჩემო ბატონო! გვითხარი შენი სიტყვა, მათ სანაცვლოდ კი თუნდ ათასი წელი მიმსახურე. მოგვგვარე ბედნიერება ჩვენც და შენს თავსაც ამ შეთანხმებით.

მისტერ ბალფინჩი: როგორც ვატყობ, მომიწევს ასე მოვიქცე. წაიყვანეთ ჯულია, კაპიტანო ფოქსლავ. ამ პატარა ცბიერმა კარგად შეასრულა თავისი როლი, ვერაფერს ვიტყვი.

ტიმი: შემოდი, ნორა! ნორა! ახლა კი, რადგან ჩემს როლს არც მე დავაკელი ენერგია, ნება მიბოძეთ ვითხოვო თქვენი მსახურის, ნორას ხელი. კაპიტნისა და ჯულისას შემყურე, გვინდა ჩვენც გავზარდოთ ოჯახი.

მისტერ ბალფინჩი: მიღებულია შენი სიტყვა, და ბალფინჩების სისხლს ვფიცავ, გრთავ ნებას წაიყვანო პატარძალი.

ტიმი: ახლა კი ყველანი ბედნიერები ვართ, გილოცავთ, პირობას გაძლევთ, პირველივე შვილს თქვენ მოგანათლინებთ. ახლა იმ ცხენივით ვგრძნობ თავს, ისე სწრაფად რომ გარბის, თვალის რომ ვერავინ მოჰკრავს. ნეტავ ჩვენი მეგობრები თუ არიან კმაყოფილნი? ნება მიბოძეთ ვიკითხო - ქალბატონებო და ბატონებო, კმაყოფილნი ხართ? თუ ასეა, ტაშით შეეგებეთ ჩვენს ირლანდიურ ნიშნობას.

ფარდები

* მთარგმნელის შენიშვნა - მეც უფრო საინტერესო დასასრულს ველოდი...